



დღეს კვლევის - "საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა საქართველოში" - პრეზენტაცია გამართება
თარიღი: 08:14 - 05.04.11

დღეს კვლევის - "საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა საქართველოში" - პრეზენტაცია გამართება
დღეს, 5 აპრილს, 14:00 საათზე, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" კვლევის - "საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა საქართველოში" - პრეზენტაცია გამართება. პრეზენტაციას საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელისუფლების, მედიის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დაესწრებიან.

დოკუმენტი თავმოყრილია კვლევის პირველი ეტაპის შედეგები და სოფელ გონიოს მაგალითზე საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოგვითხრობს. მასში ყურადღება გამახვილებულია გონიოში 271 მოქალაქისთვის 2007-2010 წლებში საჩუქრად გადაცემული და დაკანონებული მიწების უკან ჩამორთმევის შემთხვევაზე. ანგარიში ამ შემთხვევის სამართლებრივ შეფასებას და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან კავშირის ანალიზს გვთავაზობს.

შესწავლის პროცესშია სვანეთის შემთხვევები, სადაც მოსახლეობა უძრავ ქონებას საუკუნეების განმავლობაში "ტრადიციულ საკუთრებაში" ფლობდა და როგორც წესი, ეს ქონება რეგისტრირებული არ არის.

პროექტი ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" მხარდაჭერით ასოციაციის "მწვანე ალტერნატივა", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" და "საქართველოს რეგიონული მედია ასოციაციის" მიერ.

არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ მას შემდეგ დადგა, რაც სვანეთის, ანაკლიის, გონიოსა და შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიები ტურისტულ ზონებად გამოცხადდა და ინფრასტრუქტურული განვითარების ფართომასშტაბიანი პროექტები დაიწყო. გაიზარდა პოტენციური ინვესტორთა დაინტერესებაც, რაც ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას ქმნის. თუმცა, გარდა დადებითი შედეგისა, აღნიშნული ტერიტორიების ტურისტულ ზონებად გადაქცევას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები შეეწირა.

ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების მიმართ გამძაფრებული ინტერესის ფონზე, არაერთხელ დაფიქსირდა ამგვარ ზონებში საკუთრების უფლების შელახვის ფაქტები.

საჭირო გახდა ამ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დაუყოვნებელი რეაგირება. ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" დახმარებით პროექტის "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა" განხორციელდა დაიწყო და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებს შეისწავლის. ასევე აგროვებენ ინფორმაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

სიახლე გამოქვეყნებულია საიტზე: <http://ghn.ge>

ბმული: <http://ghn.ge/news-38955.html>

Copyright © GHN